

**ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი**

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) დაიწყო 2021 წლის 8 ნოემბერს და დასრულდეს 2022 წლის 26 თებერვალს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს 2021 წლის 18 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით, ბუს-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისში.

2. საახალწლო/საშობაო დასვენების დღეები განისაზღვროს 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2022 წლის 10 იანვრამდე პერიოდით;

3. შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 28 თებერვლიდან 19 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 21 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით;

4. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) დაიწყო 2022 წლის 4 აპრილს და დასრულდეს 2022 წლის 16 ივლისს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს 2022 წლის 28 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით.

5. გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 18 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 8 აგვისტოდან 13 აგვისტოს ჩათვლით.

6. საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა (რეკომენდაციების) გათვალისწინებით ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წლის კალენდართან ან/და წარმართვასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის საჭიროების შემთხვევაში, ასევე სასწავლო (სალექციო) ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტები გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.